

R 19127  
1

UNIVERSITY  
OF TORONTO

101

569.

*Handwritten text in red ink, possibly a title or author's name.*



~~7058~~

~~Handwritten number or code~~

~~899.962-1~~

~~Handwritten text~~

# საქართველო

71-12

ტ 395

## სახელმწიფო ლექსები

აკაკისა



*Handwritten notes in green and black ink.*

*Handwritten number 19127*

მუთაისი

ციხულ-ლიცთვრაცია ნ. ი. გამბრჯულისა

1893

*Handwritten mark or signature.*

საქართველოს  
საბჭოთაო



Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Декабря 1892 г.


Типо-литографія Н. И. Гамрекелова въ г. Кутаисѣ,

## გ უ ლ ი ს კ ა ნ უ ხ ი

---

სრემელში მიღესავეს ნალველი  
და მელნად ის მიხმარია!...  
შიგ თათლი არის ნარევი  
და ზოგად ცხარი ძმარია!...

ზოგს ეტკბილება, ზოგს არა,  
მაგრამ რა ჩემი ბრალია?  
ბუღბუღი ვარდს და ეკალზე  
თანასწორ მომღერალია!



## საიდუმლო ბარათი

საიდუმლო ბარათო,  
გითხრეს: «ექმენ მარადო  
სინარულის მიმნიქედ  
და სევდისა თარადო!»

მისთვის გიდებ უბეში,  
გალბობ ცრემლის გუბეში,  
ამისრულო რაც გითხრეს,  
თუ ხარ ჩემი ნუგეში.

შერა მხელავ მდუმარეს,  
ცრემლებს რომ ეღვრი მდულარეს?...  
რად არ მეტყვი მის ანბავს,  
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს?

როცა მისი მარჯვენა  
გრძნობით გხატავდა შენა,  
თვალთ ცრემლი ვერ შენიშნე,  
ვერც სახეზე მოწყენა?

როცა ამ სიტყვებს სწერდა,  
გული ხშირად უძგერდა  
და აღტაცებულ გრძნობით  
სიყვარულსა დაგმღერდა?

და რომ თარულად მანა  
შენ ჩემთან გამოგგზავნა,  
ანგელოსი სუფევდა  
მის გულში, თუ სატანა?

არა!... წრფელ გრძნობას განა  
მიბედავდა სატანა?...  
გინდ უკულმა დაბრუნდეს  
მთლად ეს ცა და ქვეყანა!...

საიდუმლო ბარათო!  
მექმენ! მექმენ მარადო  
სიხარულის მომნიჭედ  
და სევდისა ფარადო!

## ს ა ლ ა მ უ რ ი

---

სად ხარ, ჩემო სალამურო,  
ხმა-ტკბილო და საამურო,  
რომ შენის ხმით ჩრდილოეთში  
ქართველს გული გამიხურე?!

როცა მწყემსი გიპყრობს ხელში  
და გაჰკივის მთა და ველში,  
საამო ხმას ცაში ჰკარგავს  
და სევდისას შავს ქვესკნელში,

მაშინ ფიქრი ჩემი შენს ხმას  
გარს ეხვევა როგორც ძმა ძმას  
და კენესითა მომაგონებს  
საქართველოს მწარე მოთქმას:

ხან თათრები აოხრებენ,  
ხან თურქები აკენესებენ,  
ხან სკვითები დროს შერჩევით  
მყუდრებას უშფოთებენ!

მაშ უწყალო სალამურო,  
მტირალო, არ საამურო,  
რალათ მსურს, რომ შენ გისმინო  
და ქართლის ბედს მოვემდურო?



მაგრამ როცა ევ შენი ხმა  
სანუგეზოდ მიჰტრენს აღმა  
და უსაზღვრო ჩემს ოცნებას  
ხარბათ ინთქავს უფსკრული ღრმა,

თავ-განწირულს მამულის მცველს  
წარმოვიდგენ მაშინ ქართველს, —  
მტერს შეჰყვირის: «ჰკა მაგასა!»  
გამოსული ბრძოლისა ველს.

აბა, ეს ხმა სალამურო,  
ტკბილ-ხმოვანო, საამურო,  
ჩემს დღეში არ მომყირქდება,  
შეგიძლია მომაწყურო!

ძართულად ჰკენეს, ქართულად სტვენ,  
ქართველს გულსა ამით ულხენ,  
წინაპრების ხასიათს და  
ჩვეულებას გვაგონებ ჩვენ!

მაგრამ ჩემო სალამურო,  
ბრძნობით მსტვენო, საამურო,  
დღეს აღარვინ ყურს არ გიგდებს,  
სჯობს ისევ მწყემსს ემსახურო!...





## ქველ სამეფოს

---

სამეფოო ძველთა ძველო,  
დღეს სნეულო გულის მწველო,  
დაკვნა შენი ძველი ქება,  
ეთ ზაფხულში მზისგან მდებლო,

— — — —  
— — — —

დავივიწყოთ ის «ნანინა»,  
რამაც დღემდი დაგვაძინა!

— — — —

ამდენი ხნის მწუხარება,  
ნახევ მალე გაგეყრება!...  
გაიღვიძე, დროს ნუ კარგავ,  
თუ რომ გინდა ნეტარება!...  
სიფხიზლე თვით სიცოცხლეა,  
გაიღვიძე, გვეჩქარება!

ნუთუ ჯერ ვერ შეგინიშნავს,  
ის ვარსკვლავი როგორ ბრწყინავს?  
შენი არის!... ბედს გექადის!

მიეგებე, ნულა გძინავს!  
 მოემზადე, ახალი დრო  
 შესამკობლად გვირგვინს გიწნავს!

დიდებაო ძველის ძველო,  
 დღეს სნეულო საეჭველო!  
 გულს ნუ იტყებ, წამოდექი  
 ნეტარების მომლოდნელო!

— — — —  
 — — — —



## უ ი მ ა ს ტ ა

---

ვით სნეულსა თანა-უგრძნობს  
მისივე მგზავსი სნეული,  
ისე მკენესარ შიქასტის ხმას  
ძვერით უგრძნობს ჩემი გული.

მჰ, მეზურნე, დაჰკა, დაჰკა!  
გამაგონე ეგ სევდის ხმა!  
მაგაშია ჩემთა ძველთა  
მამაცური ოხერა-მოთქმა.

ზამიხურე ჰანგით გული,  
ეგებ დასდნეს მწუხარება  
და ჩემ თვალთა გადმოსთხიონ  
ნაღვლიანი მღჟღარება.


მიცი, ცრემლი მამა-კაცსა  
შეარცხვენს და არ შეშვენის,  
მაგრამ მიჯობს ჩუმათ ტანჯვას  
ცრემლი ვღვარო, არა მრცხვენის!

ნუ ვინ სცდილობს, იმ ცრემლებში  
ნახოს კერძო სიყვარული!  
იქ იქნება საიდუმლო  
გულ-გამხეთქი დაფარული:



შოველს წვეთში ნიშანს ნახავს,  
 ქართლის ტანჯვის გამომხატველს,  
 და მწარესა ნაკადულში  
 გრძელ მოთხრობას გულის დამწველს.

მჰ, მეზურნე, დაჰკა, დაჰკა!  
 ეგებ დასდნეს მწუხარება  
 და ჩემთ თვალთა გადმოსწურონ  
 ნაღვლიანი მღულარება!



## უღარღო კაცნი

შეელასათვის კარგი მსურს,  
ბოროტების მტერი ვარ,  
არ გავივლებ გულში შურს  
და მით ბედნიერი ვარ.

მე ბევრს არას ღავეძებ,—  
რაც მაქვს ცოტა, ვჯერივარ;  
ქრივ-ობლებს არას ვტაცებ,—  
ისეც ბედნიერი ვარ!...

პატიოსან ოფლსა ვღვრი,  
მეც ერთ მუშათ ვწერივარ;  
უსაქმურებს ვუყვირი:  
«მხედავთ? ბედნიერი ვარ!»

ბატონიც ვარ, ყმაცა ვარ,  
ჩემთვის ყველაფერი ვარ;  
ხომა მხედავთ რაცა ვარ?  
ვარ და ბედნიერი ვარ!...

ხან მაქვს წყალი და პური,  
ხან და ხან მშიერი ვარ,  
მაგრამ ბედს არ ვემდური,  
მანც ბედნიერი ვარ!



მიყვარს გაჭირვებული,  
 მეც მისებრ ოხერი ვარ!  
 თუმც არ მაქვს გროში ფული,  
 მაგრამ ბედნიერი ვარ!

ღიდ-კაცებს თავს არ ვუკრავ, —  
 რა მათი საფერი ვარ!  
 უმათოთაც, არ ვფიცავ,  
 ჩემათ ბედნიერი ვარ!...

სანამდის მაქვს ძალ-ღონე  
 და არცა ხნიერი ვარ,  
 ვიძახებ თავ-მომწონე:  
 «ვარ და ბედნიერი ვარ!»



## მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე,  
სიტკბოზნედა მწარე მეტი დავლიე;  
არ მშორდება მწუხარება და ჭირი,  
მაგრამ მაინც სულ ვიციანი, არ ვსტირი!  
რას მიქვიან პირადი მწუხარება?  
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება!  
ვილას ახსოვს თივისი სატკივარი,  
თუ სატრფოც ჰყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?  
მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?  
ძველი ტურჟა დღეს მკვდარივით მძინარი,  
ფეხ-შიშველა და თავ-ლეჩაქ-მოხდილი, --  
უგრძნობლად ჰხდის საწყალს საღათას ძილი!  
თავს ვადგივარ მისი ჭირის უფალი;  
თუმცა გულს მწვავს მწუხარების მე ალი,  
მაგრამ მაინც ვიციანი სხვა ნაირად  
და მჭვრეტელთაც ეს აქვსთ გასაკვირად:  
ჭირის-უფალს მხოლოდ ცრემლი შევენისო!  
ეს იციან, როგორ არა რცხვენისო?  
რა იციან, რომ ეს გული მკვდარია...  
რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარია!?..

## ა მ ი რ ა ნ ი

---

ბავკასიის ქედზე იყო  
ამირანი მიჯაჭვული;  
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,  
დაფლეთილი ჰქონდა გული.

შეეყნად ცეცხლის მოტანისთვის  
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა  
და რალაცა მანქანებით  
გული ისევ მთელდებოდა.

ჰქონდა ჭირში მოთმინება,  
არც ჰკენესოდა, არც ოხვრიდა;  
უსამართლო ძლიერებას  
მონურად ქედს არ უხრიდა.

ბოლოს მაინც გამარჯვება  
ღარჩა... ყველა გააოცა,  
და ის ღვაწლი მაგალითად  
მიწის შეილთა მან გადმოსცა.

— — — — —  
მოვა დრო და თავს აიშვებს,  
იმ ჯაჭვს გასწყყეტს გმირთა-გმირი,  
სიხარულად შეეცვლება  
ამდენი ხნის გასაჭირი!

---



## სიმღერა ძველთა

ქართველმა ხელი ხმალს ვიკარ,  
მტერს როგორ შევეუშინდები,—  
სიცოცხლეს მსხვერპლად შევსწირავ,  
სულითაც დავეწინდები.

ზარს გინდა გუნდი მეხვიოს,  
მარტოსა მეჯარებოდეს,  
თუ რომ გავექცე, «ფუ!» მითხრას...  
ღარჩენა მეჯავრებოდეს!...


ჩემის ძველების ანდერძსა  
ვერ გავსტებ ღიაცურადა,—  
ან მოვჰკლავ, ან შევაკედები  
ქვეყნის მტერს ვაჟკაცურადა!

და ანდერძს გაუტებელად  
გადავსცემ შვილის-შვილებსა:  
ერთი დემის ღვაწლი მეორეს  
ცხოვრებას უადვილებსა.

ზუღს ვერ გავიტებ, ქართველო,  
ვერ დავიჩლოუნგებ ძველ ხმალსა  
და ვერც დავჰკარგავ გულ-გრილად  
ძველების გზასა და კვალსა.

K19127  
—

ქართველმა ხელი ხმალს ვიკარ,  
მტერს რაღათ შევეუშინდები!  
სიცოცხლეს მსხვერპლად შევსწირავ  
და სულით დავეწინდები!..



## მ ც ნ ე ბ ა თ ა რ ზ ე

მიყვარს თარი გულ-საკლავად მკენესარი,—  
მწუხარების უკუყრელი ეს არა!...  
სიმები რომ დაიწყებენ ქლერასა,  
სული შფოთავს, გული შეიქმს ძგერასა;  
ყურსა ვუგდებ უცნაურსა ციურ ხმას,  
ვიორკეცებ აღტაცებით გულის თქმას,  
მით ვივიწყებ ამ ქვეყნიურს მე მცნებას...  
შორს მიყავარ მომხიბლავსა ოცნებას:  
ქვეყნიერად ვხედავ, ვხედავ სამოთხეს,  
ედემის მზგავსს შეკაზმულსა ამ კუთხეს,  
ყვავილებსა სუნნელების მფშინავსა  
და ბულბულსა ზედ საამოდ მსტვინავსა!  
ცით მოწმობენ ვარსკვლავები და მთეარე!  
არ ვის ჰმონებს შემკობილი ეს მხარე,  
რადგანც ელის განთიადის ცისკარსა  
და სამწუხროდ არ გაუღებს მას კარსა!  
რა ხალხია! რა ხალხია აქ მდგური!  
ერთობა და სიყვარული აქესთ ძმური!...  
აქ ქალები ვარდივით იშლებიან,  
მეტის გრძნობით და საქმით იგზნებიან!  
სამშობლოსთვის შეტუწირავსთ მათ გული  
და უსტვენენ ისე როგორც ბულბული!...

ეს ქვეყანა ვგებ ჩვენი მხარეა?  
 მაგრამ არა, ვიცი, რომ სიზმარია!!...  
 სიმი შესწყდა... თარმა ხმა შეიცვალა,  
 ოცნებამაც დაჰკარგა მისი ძალა:  
 თვალწინ ჰქრება საამური ჩვენება,  
 ბალის ნაცვლად სხვა რამე მეჩვენება:  
 აღარც ვარდი, არც ბუღბუღი, არც მთვარე,

— — — — —  
 ეს კი მგონი აღარ იყოს სიზმარი!!...  
 მაშ რალათ მღერს, სჯობს დაჩუმდეს აწ თარი!!...



## ახლანდელ ქალებს

სილამაზით პეპელა ხარ ხატისა,  
მიხრა-მოხრა და ქცევა გაქვს კატისა;  
დღეში ასჯერ შეიცვლები მარტივით,  
რომ მოხიბლო გული ანდამატისა!...

ღრო და ჟამის ნარნარი ხარ ქმნილება,  
— — — — —  
გინარია ეგ სკეითური ცვლილება!

«მოდებს» დასდევ, იმაში ხარ გართული,  
— — — — —

უსაქმურად ცარიელი ჭამა ხარ!  
«ქალბატონი» აღარა ხარ, «დამა» ხარ!  
ლეჩაქს იხდი, გიყვარს შლაპა-შლუპები,  
მაგრამ მაინც სატრფიალო რამა ხარ!

სილამაზით პეპელა ხარ ხატისა,  
მიხრა-მოხრა და ქცევა გაქვს კატისა,  
კუდის ქნევა და კრუტუნის მისივე,  
რომ მოხიბლო გული ანდამატისა!...



## კ ი ნ თ რ უ რ ი

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
გეფიცები, ქალო, შეგიყვარდები!...

ცაში მზეა, ქვეყანაზე შენა ხარ!  
შეცთომით ძირს ჩამოსული ზენა ხარ!  
შაქრის გულო, ბუღბუღლისა ენა ხარ!  
სინარულო, ჩემის ცრემლის დენა ხარ!  
ეკლით ნუ მჩხვლეტ!... დაძიბრუნე ვარდები!

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
შემიბრალებ, აღარ გამიჯაერდები!

სიყვარული ისა სჯობს, რაც ძველია:  
საუკუნო მეგობრობის მცველია!  
ახალი კი დროებითად მწველია...  
საქეიფოდ მხოლოდ სანატრელია!  
შენ ერიდე, მოიფარე ფარდები!

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
აღრინდელზე უფროც შეგიყვარდები!


ჩემსავით რომ შეგიყვაროს, ვინ არი?  
ვინ გაღმერთოს ციურად მომცინარი,

თუ არ შეეე? გინდა ვიყო მძინარი,  
 შენი სახე მაინც ჩემთ თვალთ წინ არი!  
 რომ გამიქრეს, კლდეზე გადავეარდები!

ხომ შეიტყვე ჩემი გულის დარდები?  
 რათ მიმეტებ, ცოდვაში რათ ვარდები!...

შეფე ვიყავ, შენგან ტრფობის ჩვეული,  
 დღეს გლახა ვარ გზა და კვალ დაბნეული!  
 ლხინს ეშორდები ჭირისაგან წვეული!  
 ეს სიცოცხლე კრულია და წყეული!  
 სჯობს შეერიდეთ!... ფეხ-ქვეშ დაგივარდები!

რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,  
 ძველებურად ისევ შევიყვარდები!



## ს ა ტ რ უ ო ს

მშვენიერო შენ გეტრფი,  
შენი მონა ერთგული!  
შენთვის სულდგმულს შენგანვე,  
შენთვის მიძგერს ეს გული!

მეგულები ციხეში  
ცხრა-კლიტულში მჯდომარე...  
შეთვისებას გიპირებს  
გაიძვერა მოყვარე!

ტკბილად გაჰმევეს, ტკბილს გასმევეს,  
შეზავებულს ბანგითა;  
დედის ხმაზე გიმღერის  
დელი-ნაცვლის ჩანგითა.

ბაუფროთხილდი, ნუ გჯერა  
მაგის ტკბილი «ნანინა», —  
შენზე წინათ სხეც ბევრი  
მოხიბლა, შეაღდინა.

ბაუმაგრდი განსაცდელს,  
აიტანე ტყვეობა!  
გშვენის ნესტან-ღარეჯნის  
მაგალითი... მზეობა.



ტარიელი დაგეძებს  
გავარდნილი დღეს ველად,  
პეთანდილი შრიდონით  
მოდის გამოსახსნელად,

რომ სისხლი და ცრემლები  
მსხვერპლად შენ წინ დაღვაროს!...  
აქ ცოცხლებს ჰსცეს ნუგეში  
და იქ მკვდრები ახაროს!



## ხ ა ლ ხ უ რ ი

---

მინდვრათ ეგდო თეთრი ქვა,  
დავჰკარ ხელი, თან ამყვა;  
სიყვარული მე შენი,  
სადაც წაველ თან წამყვა.

ქვა ჩავიდევ უბეში  
დამამძიმა, დამძალა...  
და ჩვენი სიყვარულიც  
გამწარდა ვით სამსალა.

ზადავაგდე მე ის ქვა,  
მიეუმატე ძველ ყორეს  
და შენი სიყვარული  
გადვულოცე მეორეს...

დასველებს ქვას წვიმა,  
ცრემლები შენს სიყვარულს!  
წვიმა ქვას ვერ დააღბობს  
და ცრემლები კაცის გულს!

---

## აღმართ - აღმართ

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,  
ვერზე შევდექე, ჭმუნვის ალი მენელა;  
შემან სხივი მომაფინა მაშინა,  
იციცხლე ვგროძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა!...  
შემიღულდა მაშინ სული და გული,  
ნადულში თვით მე ვიყავ დაგული.  
მა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,  
ანგზაც თვისი მე სიმები დამიწყო.  
სიმართლის შეუპოვრად გაისმა,  
რომ დღეის-დღის ხმა ისმინოს გაისმა.  
ცის მახლობლად, ფეხ ქვეშ ვიგროძენ მიწა მე,  
ესთქვი: «ცხოვრებავე, მეც ერთ კაცად მიწამე!»  
და ვიფიქრე: «ჩემი სატრფო სად არი?  
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?...»  
გადვიხედე, ენახე რომ სხეას ჰმონებდა,  
გამიკვირდა!.. ესთქვი, მტერს როგორ მონებდა?  
მოხიბლოულა, შემცდარიას ის არი,  
აღერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!  
ვაძახე: «ჭინჭარში ნუ ვარდები!  
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!...  
შეიბრალე თავი შენი, იცოდე,



მაგ შარბათში სამსალას სვამ, იცოდე...»  
არ მისმინა მწუხარებით დანაგულს,  
მით დამასო საუკუნოდ დანა გულს!  
აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად?  
თუ მალლობზე თავს ვერ ვგრძნობდი ნეტარად?  
ჩემო თავო, ველარ გკურნენ წამალით,  
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით,  
იქ ჩაბძანდი, სად გელიან ლოდებით,  
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!  
დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის!  
ხელ-დაკრეფით განისვენე მარადის!...



## ს უ რ ვ ი ლ ი

---

მინდა, რომ ჩემსა სატრფოსა  
ვხედავდე თავისუფალსა,  
რომ ძალით ვერ აშინებდენ,  
ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა!...

მინდა, რომ მისი სახელი  
გაითქვას ძველებურადა  
და მისიანი ყველანი  
ერთად სცხოვრებდენ ძმურადა!

მინდა, რომ მისსა დიდებას  
დამღერდეს რუსთველის ქნარი  
და ილვიძებდეს იმ ხმაზე  
ტაშის კვრით ხალხი მძინარი!...

მინდა, რომ... მაგრამ ეჰ, კმარა!  
ფრთა შევაკვეცოთ სურვილისა,  
თორემ რა მოჰკლავს უფსკრულსა  
მამულის-შვილის წყურვილსა.



მ თ ვ ა რ ე

ბუშინ-ლამ მთვარე,  
სხივ-მომთვინარე,  
ენახე, ლურჯ-ცაზე მონარნარობდა;  
ეშხათ მგზებარე.  
ის დავადარე  
ჩემს სატრუიალოს... გული ხარობდა! ..  
დიდ-ხანს და დიდ-ხანს  
იმ ნათელ საგანს  
მე შეეყურებდი სულ-განაბული!  
ამ სულს და ამ ტანს,  
ქრქოლით თან ამტანს,  
ათამაშებდა ძვერითა გული.  
ბრძნობით გამსჭვალულს,  
ფიქრით მოხიბლულს  
არ მეტყობოდა ქვეყნიურობა!  
უკვდავსა და სრულს  
ვეგრძნობდი სიყვარულს!...  
ქეშმარიტებად მჩნდა მაცთურება!  
მაგრამ ბოლოს ჟამს,  
სიტკბოების წამს,  
იგივ მნათობი მენალველ-მწარა!



სულს აწვეთებს შხამს  
 და გულს მით მიწვეავს  
 რომ ჩემგან მარად აწ მიეუარა!...


ბაქრა ოცნება...

აშხამდა ვნება!

სიცოცხლეც გაქრეს!... რაღას მოველო,  
 თუ მოსვენება

აღარ მექნება...

შიგნივ და გარეთ მეღება ბნელი?!



## ჩ ე მ ო თ ა ვ ო ...

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!  
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიქლერია!  
ჩემო ვულო, ტკბილად არ გიძგერია,  
რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!

მით ჯოჯოხეთს მარად გულით ვატარებ, —  
თუ მარტო ვარ, თავს მომპკვდავს ვადარებ;  
თუ ხალხში ვარ, ძალათ ღრუბელს ვადარებ  
და მოწყენით ჩემზე მტერს არ ვახარებ,  
რომ არა სთქვან ჩემზე: «რა ოხერია!»  
ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!...

ღღარა აქვს ბოლო ამ ჩემს სატანჯველს,  
არ ვინ მადღევს სანუგეშოდ ძმურად ხელს!  
ჩემს შარბათში ნაღველს ვსჭვრეტ და ვარღში გველს,  
მისთვის ვსწყველი და ვემღური ამ სოფელს,  
რომლისგანაც მე გზები ამერია!...  
ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!...

რალას ველი! დროა გაქრეს იმედი!  
გინდ მეწვიოს, ვერას მარგებს აწ ბედი, —  
დამწვარი ვარ ისე, როგორც აბედი!...  
ახა, ღმერთო! რა უდროვოდ დავბერდი!  
საფლავისკენ ფეხი გამიშვევია!...  
ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!...



დაეუძლოურდი, გაქრა გიჟი ოცნება...  
 ნაღვლიანად ჩემს თავზე მეცინება,  
 და ღმერთს ვვედრებ: «ღმერთო, მომეცი ნება,  
 რომ მეღირსოს საფლავში დაძინება!»  
 სჯობს, სულ გაქრეს კაცი, რადგან მტვერია!

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!  
 ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!  
 ჩემო გულო, ტკბილად არ გიძგერია,  
 რადგან სატრფო, ვხედავ, ჩემი მტერია!...



ი ა ვ - ნ ა ნ ა

მაფუჩქენილო ახალ-ნორჩო, შენ პაწაწინაო!  
ეგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?  
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო...  
დაიძინე, იაე-ნანა, იაე-ნანინაო!..

დაიძინე, გენაცვალოს შენი მშობელიო,  
ძუძუებში ჩაგივლია პაწაწა ხელიო!  
შენს ვაჟკაცობას მომასწრებს მე ღთის-მშობელიო,  
თავისუფლების სხივები ცით მოგეფინაო...  
იაე-ნანა, ვარლო ნანა, იაე-ნანინაო!

ზაივსე და გაიზარდე პატარა მთვარეო!  
შეიტკბე და შეისწავლე სამშობლო მზარეო!  
ანუგეშე, სადაც ნახო, მოძმე მწუხარეო;  
შეილო, მამულის გულისთვის სისხლიც დაღვარეო!  
ჩვენმა ძველებმაც მაგ რიგად მტერი აშინაო!  
იაე-ნანა, ვარლო-ნანა, იაე-ნანინაო!

პაწაწინა იაღონო და ვარდის კონაო!  
ყური-უკდე, დაისწავლე ჩემი ნანინაო;  
თვალ-ხილულად დაუკვირდი, იცან ქვეყანაო,  
რომ გაიგო ამ ქვეყნისა ცრუ გამოცანაო!  
მაგრამ ჯერ კი დაიძინე! აღრეა განაო?...  
იაე-ნანა, ვარლო-ნანა, იაე-ნანინაო!...

## ადვოკატებს

ახლანდელ ადვოკატებს,  
იმ მჩხავან და წუწკ კატებს,  
ვერ აწამებს ვერავინ  
ვერც ჯვარსა და ვერც ხატებს!...

მათი უძღვები გული  
და შებღაღული სული  
მუდამ ამას გაჰკივის:  
«ფული, ფული და ფული!»

სხვისი უბედურება  
არც ერთს არ ეყურება,  
სიტყვით სხვა და საქმით კი  
ჯიბეს ემსახურება!

ძველი აღთქმა ქებული  
აქვსთ ღღეს დაგიწყებული  
და სჯულად გაუხდიათ  
მხოლოდ ფული და ფული!

ახლანდელ ადვოკატებს,  
იმ მჩხავან და წუწკ კატებს,  
ხერხიან სიცუდემი  
ვერვინ გადააპატებს!...

## ი ღ ე ა ლ ი

შეგნიშნე ნათელ სახეზე,  
ქალო, ორგვარი ღიმილი,  
ძლიერად გამომეტყველი,  
ხან ნაღვლიანი, ხან ტკბილი!

მიგიხვდი საიდუმლოსაც  
სულთ მოძრაობის და ვნების!  
ვერ მომატყუებ სულ-მნათსა,  
მესაიდუმლეს ბუნების:

ნაღვლიანობა ხარკია  
ღღევანდელ ჩვენის ბედისა  
და სიტკბოება—ოცნება  
შორეულ სხვა იმედისა!

სამოთხის სარკმელს მაგონებ  
თვალების ელვარებითა  
და წმინდა ტაძარს მიხატავ  
გულ-მკერდის მღელვარებითა.

ვაფასებ შენს სრულ-არსებას...  
ვადიდებ სულ-ანთებულად!...  
თაყვანს ვსცემ შენში თამარსა  
და ნინოს შეერთებულად!...

## «მარდის» ხმაზედ

მე ჩანგური მისთვის მიწდა,  
რომ სიშართლეს მსახურებდეს,  
განამტკიცოს აზრი წმინდა,  
გულს სიწმინდით ახურვებდეს!

ერთი ჰქონდეს მას საგანი:  
ჰარმონია მისი ხმების  
ცხოვრებაში იყოს ბანი  
ხან ლხენის, ხან მწუხარების!

აღტაცებით სიმთა ჟღერა  
გამოსცემდეს ზეციურს ხმას  
და მაზედაც ჩემი მღერა  
ორ-ხმოვანად გამოისმას,

რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით  
თვალთ ტრემლები ეშრობოდეს  
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით  
ისარივით ესობოდეს!...

მაშინ მხოლოდ ამ ჩემს ჩანგურს  
აშორდება უქმად გდება  
და, ვინც გრძნობით დაუგდებს ყურს,  
ფფიცავ, არც ის მოსტყუვდება!

ზამიქვადეს მაშინ ენა,  
თუ რომ ვისმე მივეფერო,  
და გამიხმეს ეს მარჯვენა,  
თუ სიმრუდით სიმით ვაჟღერო!...

რაგინდ ბედით ვიყო კრული,  
საშინელიც მექნეს ბოლო,  
არ შედრკება ჩემი გული,  
გინდა ქვითაც დავიქოლო!!

სხვისი ლხენით ხომ ვიხარებ,  
თუ რომ ჩემს თავს დავრჩი ავად,  
და მაინც არ აღვიარებ  
შავს თეთრად და თეთრსა შავად!...

მე ჩანგური მისთვის მინდა,  
რომ სიმართლეს მსახურებდეს,  
განამტკიცოს აზრი წმინდა  
და გულს წრფელად ახურებდეს!!...



## ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

პატარა ბიჭი ვიყავი,  
პატარა ბიჭუჭკველავო,—  
«დაუროჩი დედას, კარგი ხარ!»  
შემომნატრიდა ყველაო.

პატარა გოგო მიყვარდა.  
პატარა გოგუცანაო,—  
ცაში ვარსკვლავიც არ ბრწყინავს  
ლამაზი იმისთანაო.

მრიგეს თავი მოგვეწონდა,  
გულს კარი ჰქონდა ღიაო,  
შიგ ჭიკჭიკობდა ბულბული,  
ვარდი ჰყვავდა, იაო!

მევეგონა, დაბლა ქვეყანა  
მალლით, ცით, დათაფლულაო,  
შიგ სიყვარული ნათესი  
ჩვენს კარზე ამოსულაო!

თავზე დავიდგით გვირგვინი,  
მივდექით საყდრის კარსაო.  
მამასაჩლისმა დაგეძახა:  
«მღდელო, ნუ დასწერ ჯვარსაო!»



«ნეფეს სალდათად იწვევენ.  
 უნდა მოხადონ ვაღიო!  
 სამ წლამდის ქრევად დარჩება  
 ხელმწიფის პატარძალიო!»

ღველონდი პატარა ბიჭი,  
 პატარა ბიჭუკელო!  
 «ვამი შენს დედას, საბრალოვ!»  
 შემომპტიროდა ყველო.

პატარა გოგოც ატირდა,  
 პატარა გოგუცანაო!  
 მაგრამ ჩემ დაბრუნებამდი  
 სხვა ნახა ჩემისთანაო!...



## სვანური სიმღერა

მთვარე ერთია, ერთი მზე,  
მურზაყანც ერთათ ერთიო!  
დალოცოს წმინდა ბიორგიმ,  
მალლით სწყალობდეს ლმერთიო!

ღევ-კაქსა ტანზე აუბამს  
ფოლადის გული... მკერდიო,  
აუსხამს რკინის გვერდები  
რკინისვე ფიცარ-მკერდიო.

არწივს წაართვა თვალები,  
მუხლი მოუბამს მეღრისაო,  
მხარ-მკლავი ამირანისა,  
ამირან მძლეთა მძლესაო!

შევარდენია მთა-კლდისა,  
ხოხობი ძირ-სოფლისაო,  
დიდი მოსარჩლე პატრონი  
საბრალო ქრივ-ობლისაო!

მურზაყანს წიგნი მოუდის:  
«მოყვრებმა დაგიბარესო!»  
მურზაყან, ფრთხილად იყავი,  
ნუ წახვალ უცხო მხარესო!



ნუ დასცდი, ფეხს ნუ გადასვამ  
 სახლიდგან ახალ მთვარესო,—  
 არ გილალატონ მარტოსა  
 ფლიდებმა სხვისა კარესო!...

არ დაიშალა, ასე სთქვა:  
 «სად არის ჩემი მტერიო?  
 გამიდიაცდენ მებრძოლნი,  
 მნახონ, დაჰკარგონ ფერიო!»

«რომ მომეჯარონ, შეეპყვირო,  
 გავფანტო როგორც მტვერიო;  
 მათი მოყვრები ვატირო,  
 იგლიჯონ თმა და წვერიო!»

დაიგვიანა სტუმარმა!  
 ცნობა მოვიდა ოდისო:  
 «მურზაყან ბარათ დავსტოვეთ,  
 მანდ მთებში აღარ მოდისო!»

სახლი აიგო მიწისა,  
 სახურავი აქვს ლოდისო!  
 აქ ბარი «ვანის» იძახის,  
 მთაც «უის» იძახოდისო!...



## ხ ა ლ ხ უ რ ი

---

აღვის-ხე აყვავებულა,  
აშვენებს არე-მარესა;  
გარს იხვევს ქვეყნის შვენებას,  
თავს იელებს მზე და თვარესა.

მს შენ ხარ აკოკბებული,  
მზეთუნახავო თინაო!  
მშვენიერებამ შეგამკო,  
ციო მადლი გადმოგფინაო!

---

ზედ უკვდავების წყალი სდგას,  
ფიალი თვალის მომჭრელი,  
გრძნობა-გონებას იტაცებს,  
არ ეკიდება კი ხელი!

მე, ქალო, შენი გულია,  
შიგ გრძნობა ნაგუბარიო;  
არ ეკარება ჯერ ტრფობა,—  
შორს არის მეგობარიო!

---

აღვის-ხეს მეზავრი წაატყდა,  
შგოსანი აღელვებული;  
თავი შესწირა სამსხვერპლოდ,  
საკვერთხად დაუდგა გული.

დაიწყო ლოცვა-კურთხევა,  
ჩანგზე დამღერა, დაკვნესა;  
ცეცხლს ანთებს... კაჟი მნახა,  
ნაპერწკლების ყრით დაჰკვესა.

მგეც ხომ შენი ბედია,  
ზვარაკი შენის გულისო,  
მგოსანი ტრფიალებისა,  
დამკვესი სიყვარულისო?

პლვის-ხეს ალი მოედვა,  
მაგრამ ხე ჰყვავა, არ ხმება!...  
რა უცნაური ცეცხლია,  
რომ ნამდვილს არ ეთანხმება!?

მე ალი ტრფობის ალია,  
ტკბილად, უცეცხლოდ მწველიო!  
სულით სჩანს, გულით იცნობა,  
არ ეკიდება ხელიო!

პლვის-ხე აყვავებულა,  
აშვენებს არე-მარესა!...  
შეყვარებული თინათინ  
ამეტებს მზე და მთვარესა!...

## გ ა ნ თ ი ა ღ ი

მთა-წმინდა ჩაფიქრებულა,  
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა,—  
მნათობი სხივებს მალლით ჰფენს  
თავ-დადებულის საფლავსა.

დადუმებულა მთა-წმინდა,  
ისმენს დუდუნსა მტკვრისასა,—  
მდინარე ნანას უმღერის  
რაინდსა, ურჩსა მტრისასა.

მთა-წმინდა გულში იხუტებს  
საშვილისშვილო სამარეს,  
მამა ღავითსა ავედრებს,  
აბარებს ქვეყნის მოყვარეს.

მგოსანი გრძნობა-მორევით  
თვალს-ავლებს არე-მარესა  
და გულის-პასუხს ნარნარად  
უმღერის ტურფა მწარესა:

«სა-ფიროზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მწარეო,  
სნეული დაებრუნებულ ვარ,  
მკურნალად შემეყარეო!»



«მერ ავიტანე ობლობა,  
სისხლის ცრემლები ვღვარეო, —  
წამძლია სულმა და გულმა,  
შენს ნახვას დავეჭკარეო.

«წინ მომეგებენ ღიმილით  
შენი მზე, შენი მთვარეო,  
გუნდი და გუნდი ვარსკვლავი,  
მოკაშკაშ-მოელვარეო.

«ბულში იფეთქა სიამემ,  
სევდები უკუეყარეო, —  
ია და ვარდი დამჰკნარი  
ხელ-ახლად გამიხარეო.

«ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო,  
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,  
შენზედვე მგლოვიარეო.

«ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,  
ზე კალთა დამათარეო,  
და რომ მოკვდები, გახსოვდეს,  
ანდერძი დავიბარეო:

«ღედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ, —  
შენს მიწას მიმაბარეო!...  
ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,  
ჩემო სამშობლო მხარეო!...

1	ზულას პასუხი . . . . .	3
2	საიდუმლო ბარათი . . . . .	5
3	სალამური . . . . .	7
4	ძველ სამეფოს . . . . .	9
5	შიქასტა . . . . .	11
6	უდარლო კაცი . . . . .	13
7	მუხანბაზი . . . . .	15
8	ამირანი . . . . .	16
9	სიმღერა ძველთა . . . . .	17
10	მცნება თარზე . . . . .	19
11	ახლანდელ ქალებს . . . . .	21
12	ბინტოური . . . . .	22
13	სატროფოს . . . . .	25
14	ხალხური . . . . .	26
15	აღმართ-აღმართ . . . . .	27
16	სურვილი . . . . .	29
17	მთვარე . . . . .	30
18	ჩემო თავო . . . . .	32
19	იავ ნანა . . . . .	34
20	ადვოკატებს . . . . .	33
21	იდეალი . . . . .	35
22	«მარდის» ხმაზედ . . . . .	36
23	ჯარის კაცი . . . . .	39
24	სევანური სიმღერა . . . . .	41
25	ხალხური . . . . .	43
26	ბანთიადი . . . . .	45

